ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3271929

ნომერი: AR1504121

თარიღი : 16.05.2017

გაცემის თარიღი : 23.05.2017

გაცნობის თარიღი : 24.05.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თელავის ქუჩა N45ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა წერეთელი პ/ნ 01026011923
- ქ. თბილისი, ცინცაძის ქ. #12, მე-10 ბლოკი, ბინა 15-03

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 559001
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 25.02.2013

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, რაზეც გაცნობებთ შემდეგს:

1. ექსპლუატაციაზე უარის დოკუმენტის რეკვიზიტები -> .უარის ან სამშენებლო დარღვევის ცნობის დოკუმენტის pdf ფაილი: პირველ რიგში გაცნობებთ, რომ საპროექტო შენობა დაუსრულებელია, შესაბამისად სამსახური მოკლებულია შესძლებლობას სრულყოფილად განიხილოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია; ასევე დამატებით საჭიროა წარმოადგინოთ საპროექტო შენობის ანაზომი, პანდუსის გაბარიტული ზომების დატანით - დახრის პროცენტულობის მითთებით. ასევე საჭიროა წარმოადგინოთ ვექტორული ფაილი - კ2 კოეფიციენტის საანგარიშო კონტურების - ,,კროკების" დატანით; მიჯნის ზონაში მოწყობილ ფრამუგასა და სავენტილაციო ხვრელებზე საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი სამეზობლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეების შესაბამისი წესით გაცემული თანხმობა;

2. წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ან ირაკლი იმერლიშვილი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ამ ეტაპზე ვერ დააკმაყოფილებს თქვენს თხოვნას.
საკითხის კვლავ ხარვეზით შემობრუნების შემთხვევაში, ზემოაღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.